



ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო



სატენდერო დოკუმენტაცია

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განსათავსებელი
სამეცნიერო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია–ანატომია)

აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვა

(150 კომპლექტი)

თბილისი

2011 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია
3. დამატებითი ინფორმაცია
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
5. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა
6. დანართი N2
7. დანართი N3, საბანკო გარანტიის ფორმა
8. დანართი N4, ფასების ცხრილი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ნოტარიულად დამოწმებული პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

2.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი გაცემულ უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი გაცემული უნდა იყოს ზემოხსენებული ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

2.3 ამ პუნქტის 2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტი პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. სატენდერო წინადადების ფასი;

3.2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

3.4. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ, **არანაკლებ 1000 000 ლარის** ღირებულების ლაბორატორიული, ოპტიკური და ზუსტი ხელსაწყოების მიწოდებაზე. ამასთან აღნიშნული მიწოდების თაობაზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (ატვირთოს) დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი რეკომენდაცია, მასზედ, რომ მიმწოდებელმა ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ამასთან გათვალისწინებულია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების **ღირებულების 50%-ის ოდენობით**, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ოდნობის საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

4.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

4.4. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, დანართი #3-ის მიხედვით.

4.5. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4.6. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს **სამ ეტაპად** კერძოდ: **ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 20 დღეში - 50 კომპლექტის, ხოლო საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს.**

4.7. დამატებითი ინფორმაცია:

- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, ალექსიძის ქ. N1, შენობა-ნაგებობა 1; მე-2 სართული, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო პირი მურთაზ სიჭინავა, ტელ: 877-15-20-50; რუსუდან ნალბანდიანი და დავით მესხიშვილი ტელ: -877-17-11-88;

**4.6. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, აღწერილობა და ჩამონათვალი:
150 კომპლექტი (ცალი)**

| № | დასახელება | რაოდენობა | |
|---|---|-----------|-----|
| ფიზიკის ლაბორატორიის აღჭურვილობა | | | |
| 1 | სოლენოიდი (საღებონსტრაციო არანაკლებ 1მმ სპილენძის მავთულის ხვრები) | 1 | PCS |
| 2 | ამპერმეტრი (0-5A DC) | 2 | PCS |
| 3 | ამპერმეტრი (25-0-25 მა) | 2 | PCS |
| 4 | მოქნილი საღებონი (100სმ) | 10 | PCS |
| 5 | კოჭა (1200 ხვია) | 1 | PCS |
| 6 | კოჭა (300 ხვია) | 1 | PCS |
| 7 | კოჭა (600 ხვია) | 1 | PCS |
| 8 | რეჟიმისა და ტალღების სამქსპერიმენტო ნაკრები დემო | 1 | PCS |
| 9 | ღენიელის ზიჰა (ბატარიის მუშაობის პრინციპის საღებონსტრაციო) | 1 | PCS |
| 10 | ლითონის ფხვნილი (არანაკლებ 300 გრ). | 1 | PCS |
| 11 | კოჭის ბუჯანა U მაგვარი (საღებონსტრაციო) | 1 | PCS |
| 12 | კოჭის ბუჯანა I მაგვარი (საღებონსტრაციო) | 1 | PCS |
| 13 | თრიბომეტრი (საღებონსტრაციო), 2 ც. ლითონის შრიკა და 2ც.ხის ძელი | 1 | PCS |
| 14 | ღინამომეტრი (1 კბ) | 5 | PCS |
| 15 | ღინამომეტრი (500 გრ) | 5 | PCS |
| 16 | წინააღობათა ნაკრები (საღებონსტრაციო სხვადასხვა წინააღობის ელ. სქემის ასაწყობად) | 1 | PCS |
| 17 | ხელის სტრობოკოპი Ø25 | 1 | PCS |
| 18 | უქანბავი ფოლადის ელემენტოდი | 6 | PCS |
| 19 | ელემენტოკოპი. (საღებონსტრაციო ექსპერიმენტებისათვის) | 1 | PCS |
| 20 | რბოლი და ბურთი (მეტალის, საღებონსტრაციო სითბური მოვლენებისთვის) | 1 | PCS |
| 21 | სწორკუთხა პრიზმა (საღებონსტრაციო ოპტიკური ექსპერიმენტებისთვის) | 5 | PCS |
| 22 | რკალი ძალის მომენტისათვის (ძალის მომენტის ღებონსტრაციისთვის) | 1 | PCS |
| 23 | ლითონის სახაზავი (სწორი, 1მ. 1მმ ღანაყოფებით) | 1 | PCS |
| 24 | საღებონიანი ნათურის სამაგრი (საღებონსტრაციო ელ. წრედის ასაწყობი) | 2 | PCS |
| 25 | სახრახნისი ინდიკატორით (საღებონსტრაციო) | 1 | PCS |
| 26 | კლიპსებიანი საღებონი (40 სმ.7 ცალი.) | 2 | TK |
| 27 | U მაგვარი მაგნიტი (საღებონსტრაციო) | 2 | PCS |
| 28 | I მაგვარი მაგნიტი (საღებონსტრაციო) | 5 | PCS |
| 29 | მიკრომეტრი (საღებონსტრაციო არანაკლებ 0,001 მმ | 1 | PCS |

| | | | |
|----|---|---|-----|
| | სიზუსტის) | | |
| 30 | ოპტიკური ნაკრები (საღებონსტრაციო, ლინზები სარკე და პრიზმა) | 1 | MK |
| 31 | ელემენტების კოლოფი (საღებონსტრაციო, 4 ელემენტისთვის) | 1 | PCS |
| 32 | გონივრის ღერო (ელექტროსტატიკის ექსპერიმენტისთვის) | 5 | PCS |
| 33 | პლასტიკის ცილინდრი (საღებონსტრაციო, სხვადასხვა ექსპერიმენტისთვის) | 1 | PCS |
| 34 | საღებამიანი ჩამოვლი (საღებონსტრაციო, ელ. წრედის ასაწყობი) | 2 | PCS |
| 35 | პოტენციური ენერჯის ნაკრები (ზამბარა, ბირები 0,5,1 კბ, სამაგბრები) | 1 | PCS |
| 36 | კომპასი (საღებონსტრაციო) | 5 | PCS |
| 37 | რეოქტატი (5 A-10 Ohm.) | 1 | PCS |
| 38 | ზამბარების ნაკრები (საღებონსტრაციო, მიტალის სხვადასხვა სიხისტის არანაკლებ 2 ც) | 1 | PCS |
| 39 | ნათურა (2.5 VOLT 0,3 A.) | 5 | PCS |
| 40 | ორმაგი სარკე ცვლადი კუთხით (საღებონსტრაციო, ოპტიკური ექსპერიმენტისთვის) | 1 | PCS |
| 41 | რადიომეტრი (საღებონსტრაციო სინათლის ენერჯიაზე დასაკვირვებლად) | 1 | PCS |
| 42 | ვოლტმეტრი (0-30 V AC) | 2 | PCS |
| 43 | ვოლტმეტრი (3-15 V DC) | 2 | PCS |
| 44 | ოპტიკური ნაკრები იუნგის ცდისათვის (საღებონსტრაციო, ნათურა შუქფილტრები და სახაზავი) | 1 | PCS |
| 45 | კლიპსებიანი საღენი (არანაკლებ 10 მ.) | 2 | PCS |
| 46 | ხელსაწყო გპირითი ტალღების დემონსტრაციისათვის (საღებონსტრაციო ბანივი და ბრძივი ტალღების ვიზუალიზაციისთვის) | 1 | PCS |
| 47 | პასკალის სფერო (საღებონსტრაციო) | 1 | PCS |
| 48 | დინამოს მოდელი (საღებონსტრაციო) | 1 | PCS |
| 49 | მაგნიტურის ნახევარსფეროები (საღებონსტრაციო, ლითონის) | 1 | PCS |
| 50 | ხის ბლოკი (ღერო და კაუჭი) | 1 | PCS |
| 51 | ინდუსტრიული კოჭა (მოდელი) | 1 | PCS |
| 52 | ელექტრო ძრავის მოდელი (საღებონსტრაციო,) | 1 | PCS |
| 53 | ელექტრო ზარის მოდელი (საღებონსტრაციო,) | 1 | PCS |
| 54 | ოპტიკური ლინზების ნაკრები (საღებონსტრაციო, სხვადასხვა ფორმის ლინზები) | 1 | PCS |
| 55 | სხვადასხვა მასალის კუბები (საღებონსტრაციო, არანაკლებ 1 სმ. ლითონი, ალუმინი და ხე) | 5 | PCS |
| 56 | ზიარჭურჭელი (საღებონსტრაციო, მინის მიღები საღებამი) | 1 | PCS |
| 57 | ინტენსიური სინათლის წყარო (12 ვოლტი) | 1 | PCS |
| 58 | ჭოჭონაქი (საღებონსტრაციო, არანაკლებ 45 მმ დიამეტრით) | 1 | PCS |
| 59 | ჭოჭონაქი 30,60,90 მმ (საღებონსტრაციო) | 1 | PCS |
| 60 | ორმაგი ჭოჭონაქი არანაკლებ 45-50 მმ (საღებონსტრაციო) | 1 | PCK |
| 61 | არქიმედის ველო (საღებონსტრაციო, გამჭირვალე მასალა) | 5 | PCS |
| 62 | მინის ღერო 0.5X20 სმ | 3 | PCS |
| 63 | კამეტონი (საღებონსტრაციო არანაკლებ 444 კერცი) | 2 | PCS |

| | | | |
|----|---|---|-----|
| 64 | თეთრი ეპრანი არანაკლებ 290X255 მმ(ოპტიკა) | 1 | PCS |
| 65 | ვაკუმ ტუმბო (საღემონსტრაციო, ხელის) | 1 | PCS |
| 66 | ვაკუმ ტუმბოს ზარხუვი(საღემონსტრაციო) | 1 | PCS |
| 67 | პლანეტარული მოდელი (ღემო) ელექტრონული. | 1 | PCS |
| 68 | ელექტრონული მანქანა (საღემონსტრაციო.) | 1 | PCS |

| ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვილობა | | | |
|---------------------------------|--|----|-----|
| 69 | ალუმინის ფირფიტები (0.5X10X10) 100ბრ | 1 | PCS |
| 70 | რეზინის ხელთათმანები | 10 | PCS |
| 71 | ბამყოვი კაბრი 250 მლ. მინა | 2 | PCS |
| 72 | სპილენძის ფირფიტები (0.5X10X10 MM) 200ბრ. | 1 | PCS |
| 73 | დისტილატორი 500 მლ | 2 | PCS |
| 74 | სინჯარების საწმენდი (ბრძელი, არანაკლებ 50 სმ) | 2 | PCS |
| 75 | საწვეთური ონკანი (50მლ) მინის მასალა | 2 | PCS |
| 76 | სინჯარების საღბამი (კლასტიკი, არანაკლებ 30 სინჯარისთვის) | 1 | PCS |
| 77 | მინის მილი (∅ 18x140მმ U მახვარი) | 3 | KG |
| 78 | მინის მილი(∅ 5 მმ,15 სმ) | 6 | PCS |
| 79 | მინის მილი (∅ 7მმ.75სმ.) | 1 | PCS |
| 80 | მინის მილების ნაკრები (5 სვალასხვა მილი) | 5 | PCS |
| 81 | მინერალების ნაკრები (საღემონსტრაციო, ნატურალური მინერალები) | 1 | PCS |
| 82 | მინის მილი ონკანი (ქიმიური ცვებისთვის) | 4 | PCS |
| 83 | კლასტმასის კაბრი (არანაკლებ 50მმ და არაუმეტეს 60მმ. დიამეტრი) | 1 | PCS |
| 84 | სამკუთხედი ფაიფურის მილებით (ცხელი ჭურჭლისთვის საღბამი) | 4 | PCS |
| 85 | საპრისტალიზაციო ფინჯანი (არანაკლებQ 130მმ და არაუმეტეს160მმ) | 2 | PCS |
| 86 | ფაიფურის ჭიქა სახურავით (არანაკლებ 30X40მმ და არაუმეტეს 40X50მმ) | 5 | PCS |
| 87 | ტყვიის ფირფიტები არანაკლებ 250 ბრ | 1 | PCK |
| 88 | რეზინის საცობი (31/25X30მმ) | 5 | PCS |
| 89 | რეზინის საცობი (31/25X30მმ) ორი ნახვრეტით | 5 | PCS |
| 90 | რეზინის საცობი (36/29მმ) ორი ნახვრეტით | 5 | PCS |
| 91 | რეზინის საცობი (31/25X30 მმ) | 5 | PCS |
| 92 | რეზინის საცობი (36/29მმ ერთი ნახვრეტისანი) | 5 | PCS |
| 93 | რეზინის საცობი(36/29მმ. ორ ნახვრეტისანი) | 5 | PCS |
| 94 | რეზინის საცობი (8/4X20მმ.) | 5 | PCS |
| 95 | მაცივარი (სპირალური, მინა სპირალური) | 2 | PCS |
| 96 | მაცივარი (სწორხაზოვანი) მინა სწორხაზოვანი | 2 | PCS |
| 97 | მიმღები (მინის ჭურჭელი) | 5 | PCS |
| 98 | მოლეკულარული მოდელი (საღემონსტრაციო ასაწყობი) | 1 | PCS |
| 99 | რეზინის მილი (Q 10X12 მმ) | 2 | MT |
| 100 | რეზინის მილი (Q 6.5X9 მმ) | 2 | MT |
| 101 | ფილტრის ქაღალდი(BLUE) | 1 | PCK |
| 102 | ფილტრის ქაღალდი (BLACK | 1 | PCK |

| | | | |
|--|--|---|-----|
| 103 | ვილტრის ქაღალდი (ვინეოკანნი) | 1 | PCK |
| 104 | ლაკმუსის ქაღალდი (RED) | 2 | PCK |
| 105 | ლაკმუსის ქაღალდი (BLUE) | 2 | PCK |
| 106 | საცობი სამაბრი (ხის სამაბრი) | 2 | PCS |
| 107 | აირ მიმღები (მიწა 500 მლ.) | 2 | PCS |
| 108 | ღანაყოფებიანი სინჯარა (მიწა 50 მლ.) | 2 | PCS |
| ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიის აღჭურვილობა | | | |
| 109 | ცხვირის მოღეღი არანაკლებ 13X4X15 სმ | 1 | PCS |
| 110 | სკალპელი | 5 | PCS |
| 111 | თირკმელის მოღეღი საღემონსტრაციო არანაკლებ 20x13x15სმ | 1 | PCS |
| 112 | მიკროსკოპის საღები სახაზავი (არანაკლებ 5 სმ. 1მმ ღანაყოფით) | 2 | PCS |
| 113 | ყვავილის მოღეღი, საღემონსტრაციო 20x20x30sm | 1 | PCS |
| 114 | მიკროსკოპის ჩახნეშილი სახაზვე მიწა (მიწა სითხეებისთვის) | 3 | PCS |
| 115 | ღნმ-ის მოღეღი საღემონსტრაციო, არანაკლებ 18X18X45სმ. | 1 | PCS |
| 116 | სარჭი(NEEDLE SHAPE) ნემსისებური | 5 | PCS |
| 117 | სარჭი(LANCET SHAPE) ლანცეტით | 5 | PCS |
| 118 | საკეტიანი პარკები ნიშნებისათვის | 5 | PCS |
| 119 | ლანცეტი (სახვლეტი ნემსი, ერთწერადი სისხლის ანალიზებისთვის არანაკლებ 50 ცალი ყუთში) | 5 | PCS |
| 120 | მცენარის ღეროს მოღეღი საღემონსტრაციო არანაკლებ 39X13X38სმ | 1 | PCS |
| 121 | თვალის მოღეღი საღემონსტრაციო არანაკლებ 14X21სმ. | 1 | PCS |
| 122 | ალამიანის ტორსის მოღეღი არანაკლებ 20X10X50სმ | 1 | PCS |
| 123 | ალამიანის გულის მოღეღი არანაკლებ 26X18X31სმ | 1 | PCS |
| 124 | ალამიანის თავის მოღეღი არანაკლებ 23X18X31სმ | 1 | PCS |
| 125 | მცენარის ფესვის მოღეღი არანაკლებ 37X10X6 სმ | 1 | PCS |
| 126 | საშრობი ქაღალდი არანაკლებ 25X5 სმ | 1 | PCK |
| 127 | მიკროსკოპის სახაზვე მიწები არანაკლებ 22X72 მმ | 2 | PCK |
| 128 | მიკროსკოპის საზარი მიწები არანაკლებ 16X16მმ | 2 | PCK |
| 129 | მიკროსკოპი არანაკლებ 600X-1600 ბაღიღებით, ელ. ბანათებით. | 2 | PCS |
| 130 | პინცეტები, ლითონის არანაკლებ 11-13 სმ. უსვადასხვა ფორმის | 5 | PCS |
| 131 | ფოთოლის მოღეღი (საღემონსტრაციო) | 1 | PCS |
| 132 | ალამიანის ჩონჩხი, არანაკლებ 150 სმ. | 1 | PCS |
| 133 | მუღმივი პრეპარატები (ალამიანის უჯრედები) | 1 | PCK |
| 134 | მუღმივი პრეპარატები (ზოოლოგიური უჯრედები) | 1 | |
| საერთო დანიშნულების ლაბორატორიული აღჭურვილობა | | | |
| 135 | კაუჭიანი სამაბრი (შტატივის) | 3 | PCS |
| 136 | ორმაბი სამაბრი (შტატივის) | 6 | PCS |
| 137 | საილენძის ელექტროდი 1,5-40-80მმ | 1 | PCS |
| 138 | ქიმიური ჰიქა(250 მლ.) (მიწის) | 5 | PCS |
| 139 | შტატივის სამაბრი თათი(big) | 3 | PCS |
| 140 | შტატივის სამაბრი თათი(small) | 3 | PCS |

| | | | |
|-----|---|----|-----|
| 141 | ღუპა არანაკლებ 2X | 4 | PCS |
| 142 | ცინკის ელექტროდი (არანაკლებ 2x40x80 მმ.) | 1 | PCS |
| 143 | კვების წყარო 80 W მუდმივი და ცვლადი დენი | 1 | PCS |
| 144 | შტატივის ღერო (∅ 10x100 მმ) | 3 | PCS |
| 145 | შტატივის ღერო (∅ 10x250 მმ) | 3 | PCS |
| 146 | შტატივის ღერო (∅ 10x500 მმ) | 3 | PCS |
| 147 | ქიმიური ზიქა (600 მლ) (მიწის) | 5 | PCS |
| 148 | სპირტქურა (მინის ჭურჭელი, სახურავით და ფითილით) | 3 | PCS |
| 149 | თერმომეტრი(-10+110°C) | 2 | PCS |
| 150 | სინჯარა (მინის) (13x100 მმ) | 30 | PCS |
| 151 | სინჯარა (მინის) (18X180მმ) | 30 | PCS |
| 152 | სხვადასხვა ზომის სინჯარების საღბამი (პლასტიკი, არანაკლებ 14 სინჯარისთვის) | 5 | PCS |
| 153 | ასაწყობი შტატივის საღბამი | 3 | PCS |
| 154 | საწონების ნაკრები (110 გრ. მგ.-მდე) | 1 | PCS |
| 155 | საწონების ნაკრები (2 კგ-მდე) | 1 | PCS |
| 156 | საწონების ნაკრები (გლინები) 1კგ-მდე | 1 | PCS |
| 157 | ქიმიური ზიქა მინა (100 მლ) | 5 | PCS |
| 158 | შტატივი (ლითონის საღბამი ღეროთი სხვადასხვა ექსპერიმენტისთვის) | 3 | PCS |
| 159 | ქიმიური თერმომეტრი (-10+360 C) | 2 | PCS |
| 160 | ტყვიის ელექტროდი (2X40X80 მმ) | 1 | PCS |
| 161 | ვოლტის ფირფიტა (0.50X16X250 მმ.) | 1 | PCS |
| 162 | PH ინდიკატორი (1-14) | 2 | PCK |
| 163 | პლასტმასის აბაზანა არანაკლები 29X20X11 | 2 | PCS |
| 164 | შტატივის საჭრლენი რბოლი (Q 90 მმ) | 3 | PCS |
| 165 | პეტრის თასი 100 მმ | 5 | PCS |
| 166 | მენზურა მინა (10 მლ) | 5 | PCS |
| 167 | მენზურა მინა (50 მლ) | 5 | PCS |
| 168 | მენზურა მინა (500 მლ) | 5 | PCS |
| 169 | კოლბა (მინის) შლივით და სახურავით 100მლ. | 5 | PCS |
| 170 | ქიმიური ზიქა (მინის)400 მლ | 5 | PCS |
| 171 | ქიმიური ზიქა (მინის)800 მლ | 5 | PCS |
| 172 | მიწის მილი J მაგვარი 0,5მმ დიამეტრი | 3 | PCS |
| 173 | მიწის მილი S მაგვარი 0,5მმ დიამეტრი | 2 | PCS |
| 174 | ბოთლი კიპებით 30 მლ მიწის | 6 | PCS |
| 175 | კოლბა (250 მლ.) მიწის | 5 | PCS |
| 176 | კოლბა 100 მლ მიწის | 5 | PCS |
| 177 | კოლბა 500 მლ მიწის | 5 | PCS |
| 178 | მენზურა 250 მლ მიწის | 5 | PCS |
| 179 | აირის სანაბურა (ქ.წ. ვარსუნკა) | 1 | PCS |
| 180 | კოლბა სახურავით 500მლ მიწის | 5 | PCS |
| 181 | კოლბა სახურავით 1000მლ მიწის | 5 | PCS |
| 182 | კოლბა სახურავით 250მლ მიწის | 5 | PCS |
| 183 | სინჯარა (25X150 მმ) მიწის | 30 | PCS |

| | | | |
|-----|---|---|-----|
| 184 | ერლენგმიერის კოლბა (250 მლ) მიწის | 6 | PCS |
| 185 | ერლენგმიერის კოლბა (150 მლ) მიწის | 6 | PCS |
| 186 | ერლენგმიერის კოლბა (500 მლ) მიწის | 6 | PCS |
| 187 | ვაიფურის თასი სანაყოფი (Q 100მმ) | 2 | PCS |
| 188 | ვაიფურის თასი (40X50) | 4 | PCS |
| 189 | ვაიფურის თასი (80X24) | 4 | PCS |
| 190 | მიწის კაბრი (Q 55 მმ) | 5 | PCS |
| 191 | ერლენგმიერის ფლაკონი(NUCHE TYPE)500 მლ | 2 | PCS |
| 192 | პიპეტი (1 მლ) მიწის | 5 | PCS |
| 193 | პიპეტი (10 მლ) მიწის | 5 | PCS |
| 194 | რეზინის მილი (Q 10X12 მმ) | 2 | MT |
| 195 | რეზინის მილი (Q 6.5X9 მმ) | 2 | MT |
| 196 | პიპეტის მსხალი რეზინის | 4 | PCS |
| 197 | ბოთლი სავაჭეოთ კლასტმასის (500 მლ) | 2 | PCS |
| 198 | ლითონის ბაღე (არანაკლემ 70X140მმ) | 1 | PCS |
| 199 | მიწის მილი (6 სმ.) | 6 | PCS |
| 200 | მიწის მილი (7X300 მმ) | 2 | PCS |
| 201 | მიწის ღერო (20 X 0.5სმ) | 2 | PCS |
| 202 | ლითონის ბაღე (WITHOUT ASBESTOS) არანაკლემ 140X140მმ | 2 | PCS |
| 203 | სინჯარის სავაჭეო (მოკლე ჯაბრისი) | 2 | PCS |
| 204 | ფოლადის მარწეხი (უქანბაპი) | 2 | PCS |
| 205 | საღბამი (სამწეხი უქანბაპი ფოლადი ქიმიური ექსპერიმენტებისთვის) | 3 | PCS |
| 206 | ბერკეტიანი სასწორი 500 ბრ | 1 | PCS |
| 207 | მექანიკური სასწორი (არანაკლემ 3კმ საღმონსტრაციო ტექსტურა) | 1 | PCS |
| 208 | ღამცავი სათვალე | 5 | PCS |

4.7 მიწოდების პირობები და ვადები:

4.8 ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელოს ქ. თბილისში.

4.9. ხელშეკრულების გაფორმებამდე, შემსყიდველის მიერ სათანადო წერილობითი შეტყობინების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 2 (ორი კალენდარული) დღისა გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ნიმუშის სახით უნდა წარმოადგინოს სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ერთი სრული კომპლექტი.

4.9. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი #2–ის მიხედვით.

ბ) ფასების ცხრილი დანართი #4–ის მიხედვით.

გ) მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობა. აღწერილობას თან უნდა ერთვოდეს პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

დ) შესყიდვის ობიექტზე უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 2 წლიანი საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა.

ე) ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ, არანაკლემ 1 000 000 ლარის ღირებულების ლაბორატორიული, ოპტიკური და ზუსტი ხელსაწყოების მიწოდებაზე. ამასთან აღნიშნული მიწოდების თაობაზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (ატვირთოს) დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი რეკომენდაცია, მასზედ, რომ მიმწოდებელმა ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

□

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 200__ წ.
ერთის მხრივ _____

_____ (შემდგომში “შემსყიდველი”)

(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____

_____ (შემდგომში “მიმწოდებელი”)

(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა ტენდერი შესყიდვაზე, _____

(საქონლის მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება საქონლის მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე:

_____ (მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი;
 - გ) საქონლის მიწოდების გრაფიკი;
 - დ) ტექნიკური პირობები;
 - ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
 - ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
 - ზ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (თუ ეს მექანიზმი გამოიყენება).
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

(შემსყიდველის სახელი, გვარი)

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

- 3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური

პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
- 4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
- 4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. შეფუთვა

- 5.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასების ცხრილში მითითებული დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში. შეფუთვამ უნდა გაუძლოს ინტენსიურ ამწევ-გადასატვირთ ზემოქმედებას, გადატვირთვის დროს ექსტრემალური ტემპერატურის, მარილების და ნალექის ზემოქმედებას, ასევე ღია ცის ქვეშ შენახვას.
- 5.2 შეფუთვის სახეობა, თითოეული ფუთის გაბარიტები და წონა, მისი მარკირება და თანმხლები დოკუმენტები უნდა შესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს.

6. საქონლის მიწოდების პირობები

- 6.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, საქონლის მიწოდების გრაფიკის შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია ტრანსპორტირების და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების გამიჯვნის შესახებ მოყვნილია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 6.2 დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საქონლის გადატვირთვისას მითითებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

- 7.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

8. თანმდევი მომსახურება

- 8.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით

გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

8.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

9. სათადარიგო ნაწილები

9.1 შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მის მიერ წარმოებული ან სარეალიზაციო სათადარიგო ნაწილების შესახებ შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:

(ა) იმ სათადარიგო ნაწილების ნომენკლატურა და ღირებულება, რომლებიც შემსყიდველმა შეიძლება შეისყიდოს მიმწოდებლისაგან, რათა გამოიყენოს ისინი საგარანტიო ვადის დასრულების შემდეგ;

(ბ) მიმწოდებლის მიერ სათადარიგო ნაწილების წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში:

1. წინასწარ უნდა აცნობოს შემსყიდველს, წარმოების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ, რათა მისცეს მას საშუალება განახორციელოს აუცილებელი შესყიდვები, საჭირო რაოდენობით;
2. აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოების შეწყვეტის შემდგომ, უფასოდ მიაწოდოს შემსყიდველს სათადარიგო ნაწილების გეგმები, ნახაზები და ტექნიკური დოკუმენტაცია.

10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

10.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

10.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

11.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

11.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

11.4 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოკვეთოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ანგარიშსწორება

12.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული

ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

12.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

13. ანგარიშსწორების ვალუტა

13.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (*თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტი*).

13.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

14. ფასები

14.1 შემსყიდველის მიერ საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

14.2 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

15.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16. უფლებების გადაცემა

16.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

17. სუბკონტრაქტორები

17.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

17.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

17.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

18. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 18.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 18.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

19. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

- 19.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიაღწევა შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტიების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200.000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 19.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
- 19.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

20. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 20.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 20.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

21. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 21.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
- (ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
 - (ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 21.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

- 21.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
 - გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 21.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

22. ფორს-მაჟორი

- 22.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 22.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 22.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

23. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 23.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 23.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

24. გამოყენებული სამართალი

- 24.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

25. ხელშეკრულების ენა

25.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცივდება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

26. შეტყობინება

26.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეკემის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

26.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

27. გადასახადები და დაბეგვრა

27.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

27.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 **შემსყიდველი:** საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო”, მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1; შენობა-ნაგებობა 1; მე-2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222;

1.2. მიმწოდებელი:

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (4)

2.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს საქონლის მიწოდების ინსპექტირებას.

2.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ინსპექტირების ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

2.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით-საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

2.4. მოსწავლეებისათვის ზიანის თავიდან ასაცილებლად შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი საექსპერტო კვლევა მოსაწოდებელი საქონლის ეკოლოგიური სისუფთავისა და ბავშვების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების დადგენის მიზნით.

2.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3. შეფუთვა (5)

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რაც გამორიცხავს საქონლის დაზიანებას.

4. საქონლის მიწოდების პირობები (6)

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, სატენდერო წინადადებაში მოცემული გრაფიკის მიხედვით, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

4.2. მხარეები პერიოდულად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შეაქმნენ გრაფიკში სათანადო ცვლილებები. ცვლილებები არ ვრცელდება მიწოდების გრაფიკით გათვალისწინებულ საბოლოო ვადაზე.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

5. თანმდევი მომსახურება (8)

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირება მიწოდების ადგილზე საქართველოს საჯარო სკოლებში.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ფარგლებში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის უსაფრთხო ადგილზე შენახვა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი (10)

6.1. მისაწოდებელი საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიწოდების ადგილის მიხედვით.

6.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება წუნდებული ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო საქონლის წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბარების აქტი არ ფორმდება.

6.3. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები - სსიპ „საგანმნათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს -----

6.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. გარანტია (11)

7.1. ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში მიმწოდებელი მიწოდებული საქონლის ხარისხზე მიწოდების დასრულებიდან იძლევა ----- თვიან გარანტიას.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება/შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწვევის გარეშე;

7.3. გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

8. ანგარიშსწორება (12)

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

8.2. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში;

8.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის მიხედვით მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღის ვადაში;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

8.5. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ეტაპობრივად ფაქტობრივად საქონლის მიწოდების დასრულების (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების) შემდეგ მიწოდებული საქონლის რაოდენობის მიხედვით.

8.6. მიმწოდებელს შეუძლია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მაქსიმუმ 50 %-ის ოდენობის თანხის წინასწარი გადახდა, მიმწოდებლის მიერ ამავე თანხაზე წარმოდგენილი უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ასეთი გარანტიის წარმოდგენიდან მაქსიმუმ 10 საბანკო დღის განმავლობაში. ავანსის გამოქვითვა განხორციელდება მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

9. ფასები (14)

ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (19)

10.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს უპირობო გამოუთხოვად საბანკო გარანტიას.

10.2. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ხარაღის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიაღება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

10.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.

10.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

10.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

10.7. გარანტია უნდა იყოს უპირობო, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

10.8. გარანტიით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (20)

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

11.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის **10%-ის** ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს საქონლის მიწოდებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების-ის ოდენობით.

11.4. თუ კი მიმწოდებელი 10.3. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს საქონლის სრულად მოწოდებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის **10%-ის** ოდენობით.

11.5. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.3 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

11.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა (23)

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დაეის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

14. სხვა დებულებები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი: / /

მიმწოდებელი: / /

დანართი #1

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

სატენდერო წინადადების ფასი;

სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული

ტენდერის პირობებს;

შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

გავვცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

დანართი #2

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:

4. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების დღიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

დანართი #3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: _____
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი
(ტენდერის დასახელება)

თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____ (თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)

დანართი #4

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

| საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | წარმოშობის ქვეყანა | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება | მიწოდების ვადა | მიწოდების ადგილი |
|---------------------|----------------------------------|--------------------|-----------|---------------|-------------------|----------------|------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | | | | | | | |

შენიშვნა: (ფასები მოცემული უნდა იყოს ყველა გადასახდის გათვალისწინებით)